შიდა მდგომარეობა სეპარატისტულ აფხაზეთში და მოვლენების განვითარების შესაძლო გზები საქართველოს უსაფრთხოების კონტექსტში

ქშიშტოფ ლუკიანოვიჩი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი კონფლიქტოლოგიის დარგში, პოლონეთის საელჩოს თანამშრომელი თბილისში
E-mail: kshycho@op.pl

რეზიუმე

რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებამ გამოიწვია გეოპოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტს საერთაშორისო სამართლის თანახმად არანაირი სამართლებრივი ღირებულება არ აქვს. აფხაზეთის ამჟამინდელი ლიდერის - რაულ ხაჯიმბას პრიორიტეტია აფხაზეთის სრული ინტეგრაცია რუსეთთან. ალექსანდრე ანქვაბისგან განსხვავებით, იგი ნაკლებად ზრუნავს აფხაზური სახის და იდენტობის შენარჩუნებაზე რაც შიგა პოლიტიკური კრიზისის საფუძველია. ამის პირველი შედეგია ახალი პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბება ეროვნული ნიშნების გადასარჩენად. რკინიგზის აღდგენის საკითხი, „უცხო ქვეყნის" მოქალაქეებზე უძრავი ქონების გაყიდვა და ე.წ. „ტრანსენგურის" ვაჭრობა ბოლო პერიოდში ყველაზე პრობლემატური საკითხებია აფხაზეთში შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით. ამ ფონზე შეიქმნა ჯერ ოპოზიციური ბლოკი ამხაცარის სათავეში, შემდგომში კი „მთავრობის" გადადგომის მოთხოვნით აქციები გაიმართა, რაც მანიშნებელია იმისა, რომ ახლო მომავალში აფხაზეთში შემდგომი პოლიტიკური არეულობა გარდაუვალია.

საკვანძო სიტყვები: *აფხაზეთი, ხაჯიმბა, რუსეთი, რგინიგზა, ვაჭრობა, პარტია.*

სეპარატისტულ აფხაზეთში თბილისთან ურთიერთობების განვითარებაზე ამჟამად ყველაზე დიდი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ორმა ძირითადმა ასპექტმა: პირველი არის რუსეთის არაპროგნოზირებადი და აგრესიული პოლიტიკა რეგიონში, მეორე - შიგა პოლიტიკური ცვლილებები თავად აფხაზეთში. ნამდვილად გასათვალისწინებულია აგრეთვე სოციალურ-ეთნიკური მდგომარეობა ამ სადავო ტერიტორიაზე.

პირველ რიგში აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც როგორც საქართველოს სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ანექსიისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეფასდა. ასევე უნდა ითქვას რომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის (რუსული სამხედრო ძალების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, სრული კონტროლი) პირობებში, კრემლის მიერ თბილისის გვერდის ავლით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება აფხაზეთთან მიმართებაში - სამართლის კონტექსტში არანაირ ახალ რეალობას არ ქმნის. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა 2014 წლის 31 ოქტომბერს, რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სპეციალური საინფორმაციო-ანალიტიკური გამოშვება მოამზადა[1], სადაც რუსეთისა და აფხაზეთის ე.წ. ხელშეკრულების მიზნებისა და შესაძლო შედეგების ანალიზი მოხდა.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულება 10 წლის ვადით გაფორმდა, ხუთწლიანი გაგრძელების

[1] საინფორმაციო-ანალიტიკური თემატური გამოშვება (ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებების შედარება და პოლიტიკური იმპლიკაციები საქართველოსთვის), 5 თებერვალი 2015 წ.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი. მიმოხილვა მომზადებულია ღია წყაროების მიხედვით, გვ. 2.

პერსპექტივით. იგი ითვალისწინებს ე.წ. აფხაზური და რუსული ჯარების გაერთიანებას, კოორდინირებული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, საერთო თავდაცვის და უსაფრთხოების სივრცის და ასევე საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის შექმნას, აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას და ა.შ.[2]

აღსანიშნავია რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს რუსული ძალების განთავსებას ფსოუზე და სეპარატისტული ტერიტორიის კიდევ უფრო ღრმა ინტეგრაციას მოსკოვთან. ეს ნიშნავს რომ მომავალში სავარაუდოდ კოდორის ხეობაში რუსეთი ახალ სამხედრო გზას გაიყვანს, რაც კიდევ უფრო გაზრდის რუსულ გავლენას რეგიონში და პრინციპში, გამეორდება ყირიმის შემთხვევა. თუმცა ყირიმისგან განსხვავებით ფორმალურად რუსეთს გამოცხადებული ექნება აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა.

საერთაშორისო სამართლის თანახმად ამ დოკუმენტს არანაირი სამართლებრივი ღირებულება არ აქვს, მაგრამ ნამდვილად არსებობს რისკი რომ რუსეთი გააგრძელებს დიპლომატიურ მუშაობას საერთაშორისო არენაზე, განსაკუთრებით წყნარი ოკეანის ტერიტორიაზე არსებულ პატარა სახელმწიფოებთან, რათა გაზარდოს იმ ქვეყნების რიცხვი ვინც აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.[3] ხელშეკრულებამ ასევე დიდი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს პოლიტიკურ პროცესებზე სოხუმში, რისი პირველი ნიშნებიც უკვე ნელ-ნელა ჩნდება.

აფხაზეთის ამჟამინდელი ლიდერის - რაულ ხაჯიმბას პრიორიტეტია აფხაზეთის სრული ინტეგრაცია რუსეთთან. ალექსანდრე ანქვაბისგან განსხვავებით, იგი არ ზრუნავს აფხაზური სახის შენარჩუნებაზე აფხაზეთში. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვივარაუდოთ რომ ანქვაბი უარყოფითად იყო განწყობილი მოსკოვის მიმართ. პირიქით, მოსკოვი მისთვისაც ძირითადი მოკავშირე იყო ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ანქვაბს სურდა სტატუს-კვო დაემყარებინა ურთიერთობებში. ეს კი პირველ რიგში ნიშნავს დამოუკიდებელ შიგაპოლიტიკურ ორგანოებს, სამხედრო ძალებს და აფხაზეთის შემთხვევაში ასევე ეთნიკური აფხაზების გაძლიერებას ბევრ ასპექტში, რასაც ფაქტობრივად ახლა ეწინააღმდეგება ხაჯიმბა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია, რომ ახლოდან შევხედოთ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. საქმე აგრეთვე ეხება ეთნიკურ ქართველებს, რომელთა რაოდენობა მაინც იმდენად დიდია, რომ მათი პოზიციის სრული იგნორირება ძალზე სარისკოა გრძელვადიან პერსპექტივაში. ხაჯიმბას ძალიან ანტიქართული პოლიტიკა, ერთი მხრივ, მოსწონს კრემლს, მეორე მხრივ კი აძლიერებს მის მოწინააღმდეგებს.

აღსანიშნავია ხაჯიმბას მიდგომა რკინიგზის განვითარებისადმი. ის ამბობს, რომ „რკინიგზა სახელმწიფოზე უნდა მუშაობდეს და ჩიხში შემყვანი არ უნდა იყოს. ამ რკინიგზაზე უნდა გაიარონ არა მხოლოდ სამგზავრო მატარებლებმა, არამედ ეშელონებმა, რომლებიც ჩვენ [აფხაზებს] საშუალებას მოგვცემენ ტრანზიტის ფული მივიღოთ და ამით ჩვენი ბიუჯეტის ზრდის პირობები შევქმნათ. ჩვენ რკინიგზის გახსნის მომხრეები ვართ და ასევე ვართ მომხრეები იმისა რომ ამ რკინიგზამ აფხაზეთს დივიდენდები მოუტანოს, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ქართული მხარე და მისი დასავლელი მფარველები თითქოს ამ სამუშაოს ჩატარების აუცილებლობას ეთანხმებიან, მაგრამ სინამდვილეში სრულებით ეწინააღმდეგებიან ამ პროცესს."[4] ამ ადგილას უნდა ითქვას, რომ ხაჯიმბა არ ითვალისწინებს ერთ მნიშვნელოვან ტექნიკურ ასპექტს: რკინიგზის აღდგენა უნდა მოხდეს აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს დაასუსტებს ტურისტულ პოტენციალს საკმაოდ გრძელ მონაკვეთზე, სადაც რელიეფის გამო სხვა გზით რკინიგზის გაყვანა უბრალოდ შეუძლებელია. ტურიზმი კი ერთადერთი ბერკეტი გახლავთ, რომლის საშუალებითაც აფხაზეთს შეუძლია ცოტათი მაინც განავითაროს თავისი ეკონომიკა. მეორე მხრივ, რუსეთთან ურთიერთობებში ეს იყო მათი ბოლო კოზირი, რომლის დაკარგვაც საბოლოოდ ასუსტებს აფხაზთა ისედაც ძალზე მარიონეტულ პოზიციას რუსების თვალში. ამის გამო ეთნიკურ აფხაზთა წრეში რკინიგზის იდეა არც ისე პოპულარულია, როგორც ეს პირველი შეხედვით ჩანს და ძირითადად ამ ინიციატივას ყველაზე მეტი მომხრე სომხებსა და რუსებს შორის ჰყავს გეო-

[2] **პიოტრ კოზლოვი:** პარტნიორობა დასავლეთის იგნორირებით! ანუ რას ითვალისწინებს რუსეთ-აფხაზეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება; 25.11.2014; http://iverioni.com.ge/9470-partnioroba-dasavlethis-ignorirebith-anuras-ithvalistsinebs-ruseth-afkhazethis-samokavshireo-khelshekruleba.html

[3] მაია აბაიაძე: „აფხაზეთის ანექსია დაიწყო", რეზონანსი, 25.11.2014;

http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=22696

[4] *რაულ ხაჯიმბა: ჩვენ რკინიგზის გახსნის მომხრეები ვართ,29.07.2014, http://www.ghn.ge/com/news/view/112518*

პოლიტიკური ასპექტების გამო[5]. ამ რკინიგზის შესაძლო აღდგენამ მომავალში რუსეთი და სომხეთი უნდა დააკავშიროს, რომლებიც 2015 წლის 1 იანვრიდან ოფიციალურად ინტეგრირებულნი არიან ევრაზიულ კავშირში და მათი დაახლოების სურვილი ბუნებრივი და გასაგებია.

მეორე ასპექტი, რომელსაც ხაჯიმბას მოწინააღდეგეები არ ეთანხმებიან, გახლავთ ინიციატივა „უცხო ქვეყნის" მოქალაქეებზე უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ. ამ საკითხში აფხაზეთის ლიდერის პოზიცია ასეთია: „ვიცი,რომ არსებობს გარკვეული შიში. ადამიანები ამ საკითხს საკმაოდ ხისტად სვამენ და ამბობენ, რომ ეს დაუშვებელია. რატომ არ სვამთ საკითხს ისე, რომ მთელი ეს წლები ომის შემდეგ ბინები და მიწის ნაკვეთები, იმის გათვალისწინებით, რომ მიწები ჩვენთან არ იყიდება, ხომ არ იყიდება? ხომ არ შოულობენ ცალკეული მოქალაქეები ფულს მიწების უკანონო ყიდვა-გაყიდვით? მოდით, ეს პროცესი კანონის ქვეშ მოვაქციოთ და უძრავი ქონება ჩვენს კონტროლს დავუქვემდებაროთ".[6] ხაჯიმბა თვლის, რომ გარიგებების განხორციელებისთვის კანონების განსაზღვრის და უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მექანიზმის შემუშავება უნდა მოხდეს. მისი აზრით, მხოლოდ დროის საქმეა, თუ როდის დაიწყებენ რუსები მასობრივად აფხაზური ანუ პრინციპში ქართული მიწების და სხვა უძრავი ქონების არალეგალური შეძენის პროცესს. ხაჯიმბა მიიჩნევს, რომ უძრავი ქონების რეალიზებით მიღებული ფულადი სახსრების გარკვეული ნაწილი შესაძლოა ახალი საცხოვრებლების მშენებლობისთვის იქნას გამოყენებული, რაც სუფთა პოპულიზმია, რადგანაც ეს სფერო ნამდვილად რუსული კონტროლის ქვეშ მოექცევა (თუკი საერთოდ დიდი კორუფციის მორიგი ნაყოფიერი წყარო არ გახდა). ასე თუ ისე, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ინიციატივა ზარალს მოუტანს ეთნიკურ აფხაზებს და უამრავი სახლი რომელიც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე ქართველების საკუთრებაში იყო პრინციპში გაუჩინარდება.

მესამე წინააღმდეგობრივი საკითხია ე.წ. „ტრანს-ენგურის" ვაჭრობა. გამომდინარე იქიდან, რომ 2007 წელს სოხუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით ყველანაირი ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსთან უკანონოდ ითვლება (უსაფრთხოების მიზნით), ყველა სავაჭრო პროდუქტი, რომელიც თბილისის მხრიდან გადადის აფხაზეთში – განიხილება კონტრაბანდად.[7]

საქართველომ ამ ცოტა გაურკვეველ სავაჭრო საკითხთან დაკავშირებით სხვა გამოსავალი მოძებნა. ერთი მხრივ, პროდუქციის გადაადგილება თბილისის მხრიდან სეპარატისტულ აფხაზეთში ითვლება როგორც შიგა საქონლის ბრუნვა, ხოლო მეორე მხრივ, 2008 წლიდან, „ოკუპირებული რეგიონების შესახებ" კანონის მიხედვით ყველა სახის ეკონომიკური ურთიერთობა - მათ შორის სავაჭრო კონტაქტები აფხაზეთის ტერიტორიაზე – მიიჩნევა უკანონოდ (მაგრამ არსებობს გარკვეული გამონაკლისები).

როგორც აღნიშნულ პროცესზე დაკვირვება გვიჩვენებს, ქართულ-აფხაზური ვაჭრობა მდინარე ენგურზე მიმდინარეობს 1 ოფიციალური (მთავარი ხიდი ზუგდიდის მხრიდან) და 3 არაოფიციალური გზის გადაკვეთით:

- ენგურის ხიდი – გადაადგილდება საქონლის 80% და მოსახლეობის 75%;
- ე.წ. ზედა ზონა – გადაადგილდება მოსახლეობისა და საქონლის 5%-ზე ნაკლები;
- ე.წ ქვედა ზონა – გადაადგილდება საქონლის 15% და მოსახლეობის 20%.[8]

აღსანიშნავია რომ აფხაზეთის მონაკვეთზე გამოიყენება შემდეგი მიმართულებები:

- ოტობაია - ორსანტია;
- ხურჩა-ნაბაკევი-კოკი-ორსანტია;
- ჭუბურხინჯი-რუხი;
- ფახულანი-ლია.

პროდუქტებს შორის რომელიც მდინარე ენგურის გავლით გადაადგილდება ძირითადად არის ისეთი საკვები პროდუქტები, როგორიცაა კარტოფილი, სტაფილო, კიტრი, მწვანილი, თხილი და მცირე რაოდენობით ხორცი. ამას გარდა გადადის ტექნიკა და ავეჯი (ამ საქონლის შეძენა საქართველოში, კერძოდ კი თბილისის, ქუთაისისა და ზუგდიდის საბითუმო ბაზრებში

[5] ზურაბ შენგელია - თავად აფხაზებსაც ძალიან ეშინიათ, რომ ამომრჩევლების სიების საკითხმა საქმე შეიძლება სისხლისღვრამდეც მიიყვანოს, 19.08.2014;

http://www.interpressnews.ge/ge/interviu/294077-zurab-shengelia-thavad-afkhazebsac-dzalian-eshiniath-rom-amomrchevlebis-siebis-sakithkhma-saqme-sheidzleba-siskhlisghvramdec-miiyvanos.html

[6] *რაულ ხაჯიმბა უძრავი ქონების უცხოელებზე მიყიდვის დაკანონების ინიციატივით გამოდის; 12.08.2015, http://pia.ge/show_news.php?id=47174&lang=geo*

[7] ვახტანგ ჭარაია: აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, 27.11.2014; http://regional-dialogue.com/ge/articles/analytics/economic-and-social-state-of-abkhazia/

[8] Trans-Inguri economic relations: a case for regulation, Volume 2, April 2015, Author: Natalia Mirimanova Researchers: Vakhtang Charaia, Lolita Zade and Irma Jgerenaia, page 6.

და ტექნიკის სპეციალიზირებულ მაღაზიებში მიმდინარეობს). უნდა ითქვას, რომ საქართველოდან შესული საქონლის დაახლოებით 80% სოხუმისა და გაგრის ბაზრებისთვისაა განკუთვნილი და მხოლოდ დანარჩენი 20% რჩება გალის ტერიტორიაზე, რაც გამომდინარეობს მოთხოვნა-მიწოდებიდან.[9]

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში დანარჩენი საქართველოდან გადატანილი საქონელი ძალიან ძვირად იყიდება. გალში ფასის სხვაობა თითქმის 100%-ის ფარგლებში მერყეობს სხვა რეგიონებში კი გაცილებით უფრო მატულობს. ყველაზე მაღალი ფასები სოხუმშია, სადაც ძირითადად ზუგდიდიდან, ქუთაისიდან და თბილისიდან ჩატანილი საქონელი 300%-ით ძვირი ღირს.

ამ ფონზე გასაგები ხდება, თუ რა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე.წ. „ტრანს-ენგურის" ვაჭრობა უამრავი ადამიანისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს ასპექტი კიდევ უფრო აქტუალური გახდა სოჭში ჩატარებული ოლიმპიადის დასრულების შემდეგ. 2014 წლის სპორტული ღონისძიებების დაწყებამდე საკმაოდ დიდი რაოდენობის ეთნიკური სომეხი სეპარატისტული აფხაზეთიდან რუსეთში გადავიდა, სადაც ბევრი სამუშაო ადგილი გაჩნდა ოლიმპიურ ინვესტიციებთან დაკავშირებით. ბევრი მათგანი აღარ დაბრუნდა და ადგილობრივ ბაზარზე ბუნებრივად შეიქმნა პატარა „ნიშები", რომელთა შევსება დროთა განმავლობაში მოახერხეს აფხაზებმა და ქართველებმაც კი. საუბარია ისეთ საქმიანობაზე, რომელიც ისტორიულად სომხებთან ასოცირდებოდა: ვაჭრობა, ხელოსნობა, სხვადახვა საამქროების გაძღოლა და ა.შ. ამ გზით ბოლო პერიოდში პირველად მრავალი წლის შემდეგ გაჩნდა ქართულ-აფხაზური თანამშრომლობის პატარა საყრდენი.

რუსებმა, რა თქმა უნდა, დაინახეს ეს პრეცედენტი, რომელიც ამ ეტაპზე მაინც ძალიან დაბალ დონეზეა. მიუხედავად ამისა, ამ თანამშრომლობის შესაწყვეტად მათ გამოიყენეს ყველაზე ადვილი ბერკეტი - „ტრანს-ენგურის" ვაჭრობის ბლოკირება. რასაკვირველია, ზემოაღნიშნული საქონლის გადაადგილება კორუფციული მექანიზმის მეშვეობით ხდებოდა. გადასვლა ერთი ან მეორე მიმართულებით ხდება თითქმის მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რუს ჯარისკაცებს ქრთამს გადაუხდიან. ქრთამის რაოდენობის მატების შემთხვევაში ვაჭრობა უბრალოდ არამომგებიანი გახდება და დროთა განმავლობაში შეიძლება გაცილებით შეიზღუდოს. რაც საბოლოო ჯამში ზარალს მიაყენებს ქართველებსა და აფხაზებს. ამას გარდა. რადიკალურად ანტიქართულად განწყობილი ხაჯიმბა გეგმავს ყველა შესაძლო გადასასვლელის ჩაკეტვას. ერთ-ერთი ვერსიით, ოკუპირებული ტერიტორიის დე-ფაქტო პრეზიდენტი ენგურზე განლაგებულ ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილების შეზღუდვას და ექვსი "გამშვები პუნქტის" ნაცვლად ერთის დატოვებას უჭერს მხარს.[10] ხაჯიმბას არგუმენტი ასეთია: „საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე საქონლის უკანონო ბრუნვის საკითხი უმოკლეს დროში უნდა გადაიჭრას. პროდუქციის შემოტანა და გატანა კონტრაბანდული გზით ხორციელდება, სახელმწიფოს კი აქედან არავითარი სარგებელი არა აქვს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს მხოლოდ კანონიერ საფუძველზე. დღეს ბევრი საუბრობს. რომ ეს შეუძლებელია რადგან ჩვენ არ გვაქვს საქართველოსთან სახელმწიფოებრივ-სამართლებლივი ურთიერთობა მაგრამ ეს ხელს არ უშლის ზოგიერთ ჩვენს მოქალაქეს დაკავდეს კონტრაბანდით და დიდი რაოდენობით შემოიტანოს საქონელი ენგურიდან. ამასთან, ისინი ბიუჯეტში არაფერს არ იხდიან. ჩვენ ან უნდა დავუშვათ საქონლის უკანონოდ გადატანა, ან მთლიანად ჩავკეტოთ საზღვარი".[11]

ამჟამად ადმინისტრაციულ საზღვარზე გალის და ზუგდიდის რაიონებს შორის ექვსი გადასასვლელი ფუნქციონირებს, მათ შორის ერთი ცენტრალური და ხუთი დამატებითი. ცენტრალური გამშვები პუნქტის. გარდა ხუთი დამატებითი გადასასვლელი (4 საფეხმავლო და 1 საავტომობილო) 2013 წლის მაისში ალექსანდრე ანქვაბის მმართველობის დროს გაიხსნა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხაჯიმბას სურს გააქროს აფხაზურ-ქართული თანამშრომლობის ერთადერთი პლატფორმა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მის პოლიტიკურ ოპონენტებს გააძლიერებს. ამ კონტექსტში არ იგულისხმებიან მარტო ქართველები, არამედ აფხაზებიც, რომელთა დიდი ნაწილი როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, ეწინააღმდეგება რკინიგზის აღდგენას, რუსული ინფრასტრუქტურის გაფართოებას, უძრავი ქონების გასხვისებასა და შემოსავლის წყაროს გაქრობას.

[9] ვახტანგ ჭარაია, აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, 27.11.2014; http://regional-dialogue.com/ge/articles/analytics/economic-and-social-state-of-abkhazia/

[10] რაულ ხაჯიმბა ენგურზე ხუთი გადასასვლელის ჩაკეტვის პირობას დებს, 03.10.2014;

http://www.interpressnews.ge/ge/politika/299416-raul-khajimba-engurze-5-gadasasvlelis-chaketvis-pirobas-debs.html?ar=A

[11] *რაულ ხაჯიმბა „საქართველო-აფხაზეთის საზღვრის" გაკონტროლებას, ან ჩაკეტვას ითხოვს; 13.08.2015, http://www.ghn.ge/com/news/view/136823*

ქართველების შემთხვევაში ამ ფაქტორებს კიდევ ემატება საარჩევნო უფლებების წართმევა და ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვა. საყურადღებოა, რომ გალში ქართულ სკოლებში 2015 სასწავლო წლიდან სწავლება რუსულ ენაზე წარიმართება და ქართული მხოლოდ როგორც ერთ-ერთი რიგითი საგანი ისე დარჩება. ამას უკვე დიდი ხნის განმავლობაში აანონსებდა აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ლიდერი და ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ მისთვის მიუღებელია "რესპუბლიკაში" მოსწავლეებმა თბილისში დაბეჭდილი ისეთი სახელმძღვანელოებით ისწავლონ, რომლებიც "აფხაზეთის სახელმწიფოს არსებობას უარყოფენ".[12] აღსანიშნავია, რომ გალის ტერიტორიაზე, მარტო ქვედა ზონის ფარგლებში მხოლოდ 11 სკოლას აქვს ქართული სკოლის სტატუსი. თავისთავად ეს პოლიტიკა საბოლოო ჯამში ქართველების გაღიზიანებას გამოიწვევს.

ზემოთ აღნიშნული ასპექტები ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ რეგიონში პოლიტიკური და ეთნიკური პროცესების განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ ასევე საყურადღებოა შიგაპოლიტიკური საკითხები, რომელთა დიდი ნაწილი დაკავშირებულია აქამდე გაანალიზებულ პრობლემებთან.

პირველი აზრთა სხვადასხვაობა აფხაზეთის გავლენიან პოლიტიკოსებს შორის გაჩნდა აფხაზეთისა და რუსეთის შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი საინფორმაციო ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით. სტრუქტურა, რომელიც ზოგადად აფხაზეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და მათ სუვერენიტეტს ზღუდავს, საბაბი გახდა ანტირუსული განწყობების გაძლიერებისთვის სეპარატისტთა პარლამენტში.[13] აფხაზების დიდმა ნაწილმა გააკეთა ყველაზე უფრო მკაცრი განცხადებები მოსკოვის მიმართ ბოლო პერიოდის განმავლობაში. აღსანიშნავია რომ ფაქტობრივად რუსებს სურთ შეიქმნას ცენტრი რომელსაც რუსეთის პრეზიდენტის მიერ დანიშული უფროსი უხელმძღვანელებს და პრინციპში ყველაფრის გაკეთება შეეძლება. კრემლის მიზანია მათმა ძალოვანმა სტრუქტურებმა შეძლონ აფხაზეთში დაკავებებისა და ჩხრეკების განხორციელება, გამოიყენონ იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები, აწარმოონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, სატელეფონო საუბრების მოსმენები, საფოსტო გზავნილების კონტროლი და ა.შ. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ზოგი გამოცდილი აფხაზი პოლიტიკოსი ამ ინიციატივის წინააღმდეგ გამოვიდა. შესაბამისი კანონი მაინც იქნა მიღებული, მაგრამ ამ სიტუაციამ აჩვენა რომ პოლიტიკური სცენა მაინც დაყოფილია და აზრთა სხვადასხვაობა სულ უფრო მეტად ძლიერდება.

შემდეგი მსგავსი თვალშისაცემი მომენტი გამოჩნდა 2015 წლის ივნისში, როცა ცნობილი გახდა, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული და შეპირებული 5 მილიარდი რუბლის ოდენობის დახმარებას წელს აფხაზები არ მიიღებდნენ.[14] პრინციპში არავინ იცის მიიღებს თუ არა საერთოდ სოხუმი ამ თანხას, მით უმეტეს რომ რუსეთი ეკონომიკურ კრიზისშია ევროკავშირის სანქციების გამო. ეს სიტუაცია აჩვენებს მოსკოვის მიდგომას აფხაზეთის მიმართ - არარეალური შეპირებები, სუვერენიტეტის დასუსტება, აგრესიული ჩარევა შიგა პოლიტიკაში და ა.შ. ამ ყველაფრის ფონზე ბუნებრივია რომ პოლიტიკურ არენაზე უნდა გამოჩენილიყო ოპოზიციური ძალა, რომელიც იქნებოდა არა იმდენად ანტირუსული, არამედ უფრო პროაფხაზური და რომელიც შეეცდებოდა სტატუს-კვოს შენარჩუნებას მოსკოვთან ურთიერთობებში.

ასეთი ძალა შეიქმნა 2015 წლის ივნისში როგორც ოპოზიციური ძალების ბლოკი. მასში შევიდნენ პოლიტიკური პარტია „ამცახარა", სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების ფონდი „აპრა", საზოგადოებრივი ორგანიზაციები „ქალები პოლიტიკაში" და „აბზანხარა". როგორც ფონდ „აპრას" წარმომადგენელი ასლან ბუანია აანონსებდა - „ბლოკი აფხაზეთში გართულებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო შეიქმნა. ეს აფხაზეთის ხელისუფლების არაკომპეტენტური პოლიტიკის შედეგია, რომელმაც მიგვიყვანა მძიმე მდგომარეობამდე ქვეყნის შიგნით და ასევე აფხაზურ-რუსული ურთიერთობების გაუარესებამდე"[15].

შემდგომში სეპარატისტულ რესპუბლიკაში ექსპერტთა ფონდის რეორგანიზების შედეგად ახალი პოლიტიკური პარტია "აინარი" დაფუძნდა. პარტიის წევრები არიან ზოგადად ახალგაზრდა ეკონომისტები, მედიცინის სფეროს წარ-

[12] ერთი კარიკატურის გამო ხაჯიმბამ აფხაზეთში ქართულად სწავლება აკრძალა, 14.03.2015;
http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=24025

[13] აფხაზების უარი კრემლის ახალ შეთავაზებაზე, 29.06.2015; http://www.netgazeti.ge/GE/105/News/47171/

[14] აფხაზები მოსკოვს შეპირებული ფულის დაგვიანებისთვის გაუნაწყენდნენ, 17.06.2015;
http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=25196

[15] სოხუმში ოპოზიციური ძალების ბლოკი შეიქმნა, 15.06.2015;
http://radioatinati.ge/sokhumshi_opoziciuri_dzaleb/

მომადგენლები, იურისტები და ა.შ. რაც გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა და უფრო განათლებულ თაობებისთვის ხაჯიმბას პოლიტიკა და პრიორიტეტები მიუღებელია.[16]

დაახლოებით იმავე დროს შეიქმნა კიდევ რესპუბლიკური პარტია "აფხაზეთის სახალხო ფრონტი სამართლიანობისა და განვითარებისათვის", რომელიც მაინც ამ ეტაპზე დიდ ძალას არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც იგი შემდეგი დასტური იმასა, როგორი საზოგადოებრივი მიდგომა ხაჯიმბას მიმართ აფხაზეთში.[17]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ახლო მომავალში აფხაზეთში დიდი როლი შეიძლება ითამაშოს ასლან ბჟანიამ, მით უმეტეს, რომ ის 2014 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთი კანდიდატი იყო და წაგების მიუხედავად დაახლოებით 35%-იანი მხარდაჭერა მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს. რომ მისი პოზიცია პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ ძლიერია. საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ ბჟანია ახლო ურთიერთობაშია აფხაზეთის ყოფილ ლიდერ ალექსანდრე ანქვაბთან. ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ ამ პიროვნებაზე, როგორც ანქვაბის პოლიტიკის „მემკვიდრეზე" და ზუსტად მის ირგვლივ შეიძლება მომავალში შეიკრიბოს აფხაზების და აგრეთვე ქართველების დიდი ნაწილი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ხაჯიმბას ძალიან ლიბერალურ და ზოგ მომენტში მათთვის გაუგებარ საგარეო და შიგა პოლიტიკას. ბჟანიასა და ანქვაბის პოლიტიკურ მოძრაობებს შეიძლება მოიპოვოს აგრეთვე სხვა ოპოზიციური პარტიების (მაგალითად „აინარი" და „"აფხაზეთის სახალხო ფრონტი სამართლიანობისა და განვითარებისათვის") მხარდაჭერა. ზოგადად, არც ანქვაბის აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებაა გამორიცხული, თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ წარსულში რამდენიმე ტერაქტი იქნა განხორციელებული მის წინააღმდეგ, რაც ნიშნავს რომ ახლა ნამდვილად უფრო ფრთხილად იმოქმედებს აფხაზური პოლიტიკის რისკიან პირობებში. მეორე მხრივ, იქნება ეს ბჟანია თუ ანქვაბი, ზემოთ აღნიშნული სცენარის განხორციელების შემთხვევაში სოხუმი ისევ შეიძლება გახდეს პოლიტიკური ქაოსის ცენტრი, რაც შემდგომში რეგიონის პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გაუარესებას მოიტანს. გასაგებია, რომ ხაჯიმბა და მისი მომხრეები ასე ადვილად არ დაემშვიდობებიან გავლენიან სამთავრობო თანამდებობებს, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ კეთილდღეობასთანაა დაკავშირებული. ზემოადნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთს მომავალში ელის პოლიტიკური ბრძოლის შემდეგი ეტაპი, რომელიც, სამწუხაროდ, შეიძლება ზედმეტად დაგვიანებული იყოს აფხაზური იდენტობის დასაცავად რადგანაც როგორც ჩანს რუსები უახლოეს პერიოდში თითქმის ყველა მათთვის სტრატეგიულ მიზანს მიაღწევენ.

გამოყენებული ლიტერატურა

- მამუკა არეშიძე, საქართველო-რუსეთის საზღვარზე არსებული მდგომარეობა და საფრთხეები, თბილისი 2010;
- ვახტანგ ჭარაია, „აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა", თბილისი 2014;
- Kornely Kakachia, Michael Cecire, Gorgian foreign policy - the quest for sustainable security, Tbilisi 2013;
- Thomas De Waal, The Caucasus, Oxford 2010;
- Trans-Inguri economic relations: a case for regulation, Volume 2, April 2015, Author: Natalia Mirimanova Researchers: Vakhtang Charaia, Lolita Zade and Irma Jgerenaia, page 6;
- Źródła nienawiści – konflikty etniczne w krajach postkomunistycnych, Kraków 2009;
- Tadeusz Bodio, Kaukaz: mechanizmy legitymizacji i funkcjonowania elit politycznych, Warszawa 2012;
- **პიოტრ კოზლოვი:** პარტნიორობა დასავლეთის იგნორირებით! ანუ რას ითვალისწინებს რუსეთ-აფხაზეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება; 25.11.2014; http://iverioni.com.ge/9470-partnioroba-dasavlethis-ignorirebith-anu-ras-ithvalistsinebs-ruseth-afkhazethis-samokavshireo-khelshekruleba.html
- მაია აბაიაძე: „აფხაზეთის ანექსია დაიწყო", რეზონანსი, 25.11.2014; http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=22696
- რაულ ხაჯიმბა: ჩვენ რკინიგზის გახსნის მომხრეები ვართ, 29.07.2014, http://www.ghn.ge/com/news/view/112518
- ზურაბ შენგელია - თავად აფხაზებსაც

[16] ახალი პოლიტიკური პარტია აფხაზეთში, 05.09.2015, http://www.netgazeti.ge/GE/105/News/49602/

[17] SOXUMSI SEQMNILI AXALI PARTIA „SASUALO KLASIS" SEQMNAS GEGMAVS, 25. 09. 2015, HTTP://RADIOATINATI.GE/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E/

ძალიან ეშინიათ, რომ ამომრჩევლების სიების საკითხმა საქმე შეიძლება სისხლისღვრამდეც მიიყვანოს, 19.08.2014; http://www.interpressnews.ge/ge/interviu/294077-zurab-shengelia-thavad-afkhazebsac-dzalian-eshiniath-rom-amomrchevlebis-siebis-sakithkhma-saqme-sheidzleba-siskhlisghvramdec-miiyvanos.html

- *რაულ ხაჯიმბა უძრავი ქონების უცხოელებზე მიყიდვის დაკანონების ინიციატივით გამოდის; 12.08.2015, http://pia.ge/show_news.php?id=47174&lang=geo*

- ვახტანგ ჭარაია: აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, 27.11.2014; http://regional-dialogue.com/ge/articles/analytics/economic-and-social-state-of-abkhazia/

- რაულ ხაჯიმბა ენგურზე ხუთი გადასასვლელის ჩაკეტვის პირობას დებს, 03.10.2014; http://www.interpressnews.ge/ge/politika/299416-raul-khajimba-engurze-5-gadasasvlelis-chaketvis-pirobas-debs.html?ar=A

- *რაულ ხაჯიმბა „საქართველო-აფხაზეთის საზღვრის" გაკონტროლებას, ან ჩაკეტვას ითხოვს; 13.08.2015, http://www.ghn.ge/com/news/view/136823*

- ერთი კარიკატურის გამო ხაჯიმბამ აფხაზეთში ქართულად სწავლება აკრძალა, 14.03.2015; http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=24025

- აფხაზების უარი კრემლის ახალ შეთავაზებაზე, 29.06.2015; http://www.netgazeti.ge/GE/105/News/47171/

- აფხაზები მოსკოვს შეპირებული ფულის დაგვიანებისთვის გაუნაწყენდნენ, 17.06.2015; http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=25196

- სოხუმში ოპოზიციური ძალების ბლოკი შეიქმნა, 15.06.2015; http://radioatinati.ge/sokhumshi_opoziciuri_dzaleb/

- ახალი პოლიტიკური პარტია აფხაზეთში, 05.09.2015, http://www.netgazeti.ge/GE/105/News/49602/

THE INTERNAL SITUATION IN THE GEORGIAN BREAKAWAY REGION OF ABKHAZIA AND POTENTIAL DEVELOPMENT OF PROCESSES IN THE CONTEXT OF GEORGIAN SECURITY

Summary

The treaty signed between Russia and the Georgian breakaway region of Abkhazia has sparked another process of geopolitical situation change in the South Caucasus despite the fact the document has no legal power from international law point of view. For the current Abkhazian leader Raul Khajimba the priority is to full integration with Russia. In contrast to Alexander Ankvab he is much less interested in protecting of Abkhazian identity what became the reason for internal political crisis. The first result of this situation was establishment of new political parties to save national features. The restoration of Abkhazian railway, real properties sale to foreigners as well as so called "Trans-Enguri" trade process are the most problematic issues in previous months from the political point of view. As a result of this situation, oppositional coalition led by "Amcakhara" party was set up and one of the first demands was overthrowing of the current government. The above mentioned can be interpreted as a symptom of another political disorder in the nearest future in Abkhazia.